



შეხვედრა - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამინისტროში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების მიმართულნი პედაგოგები მონაწილეობენ შეხვედრაში მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს თანამშრომლები ესწრებიან.

შეხვედრაზე განიხილეს სამინისტროს მიმდინარე პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებიც ექსპერტის მიერ მომზადდება რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის არსებულ პროგრამებთან დაახლოების მიზნით.

ექსპერტმა წარმოადგინა პრეზენტაცია ევროკავშირის ერთიანი აგარული პოლიტიკის (CAP) ახალი რეფორმისა და არსებული პროგრამების შესახებ. განიხილეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითები სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და ანგარიშგების



საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ UNDP საქართველოს წარმომადგენლები ივანე შამუგია და ვანტანგ კონცელიძე.

„Geoanesthesia-2022“ – ბათუმში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მეტოქე საერთაშორისო კონფერენცია - „Geoanesthesia-2022“ ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“ გაიხსნა. კონფერენცია აერთიანებს ანესთეზიოლოგ-რენიმატოლოგებს, ტოქსიკოლოგებს და გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებს.

გახსნის ცერემონიას აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეები, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერები, მედიცინის და განათლების სფეროს წარმომადგენლები ესწრებიან.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა მინისტრის პირველმა მოადგილე მარი ზანაქიძემ.

„ბათუმში ორი დღის განმავლობაში ანესთეზიოლოგია-ინტენსიური თერაპიის მიმართულნი დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის მნიშვნელოვან შეხვედრას მასპინძლობს. ისინი კოვიდპანდემიის შემდეგ ერთ სივრცეში პირველად შეიკრიბნენ. სასესიო დღეების განმავლობაში განხილული იქნება ბოლო წლების მნიშვნელოვანი სამედიცინო შემთხვევები. მინდა წარმატება ვუსურვო კონფერენციის თითოეულ მონაწილეს“, - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

გარდა ქართველი მომხსენებლებისა, კონფერენციაში მონაწილეობენ სპიკერები გერმანიიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, უნგრეთიდან, ავსტრიიდან, სომხეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნიდან. ტარდება ვორკშოპები რეგიონალურ ანესთეზიასა და მძიმე სასუნთქი გზების მენეჯმენტში (რეგიონული ასოციაციის (გერმანია, ბერლინი) სერტიფიკატის გაცემის უფლებით). ასევე, ცალკე სექცია გამოყოფილი იქნება ბისათვის.

კონფერენციას აქვს პერმანენტული სახე და ის მნიშვნელოვან შეხვედრას მასპინძლობს. ისინი კოვიდპანდემიის შემდეგ ერთ სივრცეში პირველად შეიკრიბნენ. სასესიო დღეების განმავლობაში განხილული იქნება ბოლო წლების მნიშვნელოვანი სამედიცინო შემთხვევები. მინდა წარმატება ვუსურვო კონფერენციის თითოეულ მონაწილეს“, - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილემ.



ტარდება საქართველოს ანესთეზიოლოგთა და რენიმატოლოგთა კავშირის, აჭარის მთავრობის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს გადაუდებელი მედიცინისა და კლინიკურ ტოქსიკოლოგიის ასოციაციების მხარდაჭერით.

პროგრამა მუშაობს

ვლადიმერ ცაგარაძე 27 48 93

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, 14 ოჯახი საცხოვრებელ პირობებს გაუმჯობესებს - მათთვის სახლები სოციალური პროგრამით შენდება, რისთვისაც ბიუჯეტში მობილიზებულია 210 000 ლარი. ამ პროგრამით უკვე ისარგებლა სოფელ ქედლებში მცხოვრები ლალი ბოლქვაძის ოჯახმა, ხოლო წელს პროგრამის ბენეფიციარია ზემო ვაშლიანის მცხოვრები ბუღბუღი მხეშვიძის ოჯახი, რომელსაც საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე გამოეყო

შესაბამისი თანხა. პროგრამით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ერთი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი ფინანსური დახმარება 15 ათასი ლარია. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის აშენებული სახლები ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვანტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ მოინახულეს. ქედლებელმა ლალი ბოლქვაძემ უკვე საკუთარი კერა გაიჩინა, - თქვა ვანტანგ ბერიძემ, - წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ბენეფიციარი ახალ სახლში დაიდებს ბინას.



ქედ უკვე საკუთარი კერა გაიჩინა, - თქვა ვანტანგ ბერიძემ, - წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ბენეფიციარი ახალ სახლში დაიდებს ბინას.

საინფორმაციო შეხვედრა - სასტუმრო „რედისონში“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

პროექტის „საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და საზღვაო ნარჩენების შეგროვება შავი ზღვის ეკოსისტემის დასაცავად“ ფარგლებში სასტუმრო რედისონში ვორკშოპი გაიმართა. საინფორმაციო შეხვედრაზე მოხსენებით წარსდგა ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემიძე



ნდის სტრატეგიის განსაზღვრა. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ბიზნისისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (IBEDC).

ახალი ფესტივალი „ბათუმური რაფსოდია“ - ჩვენს ქალაქში

ნათია იმნაიშვილი 577 20 35 90

24 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ნამდვილი მუსიკალური ზეიმი ელოდებათ. ბათუმი კლასიკური მუსიკის ფესტივალს - „ბათუმური რაფსოდია“ მასპინძლობს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც ცნობილი ქართველი სოპრანო თამარ ივერია: - სხვა ქალაქთან შედარებით იმდენად საოცარი

რი ჰარმონია მაქვს ბათუმში ვერ აღვიწერთ. ეს არის ქალაქი, რომელიც შექმნილია დღესასწაულებისთვის, ფესტივალისთვის, კონკურსებისთვის. სულ ვამბობ, ფიზიკურად დავიბადე თბილისში, მაგრამ, შემოქმედებითად დავიბადე ბათუმში და ამ ქალაქში მუსიკალური ფესტივალის, კონკურსის დაარსება იყო ჩემი ოცნება. ფესტივალი „ბათუმური რაფსოდია“ და კონკურ-

სი „ბათუმის ოქროს ხმა“, იქნება ერთ-ერთი დიდი საშუალება, რომ მსოფლიოს ხელოვანმა ხალხმა გაიცნოს ბათუმი და გაიგოს, რა ნიჭიერი მუსიკოსები ცხოვრობენ ამ ქალაქში, - განაცხადა თამარ ივერია.

Advertisement for the Batumi Vocal Festival, featuring a poster with the text 'Opera's Golden Voice' and 'Black Sea International Festival'.

ინფლაციის ზრდა მოსალოდნელია

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3,5%-დან 7%-მდე გაზარდა. ADB-ის ანალიტიკოსების ვარაუდით, გაზრდილი ექსპორტისა და ტურიზმის, ფულადი გადარიცხვებისა და ძლიერი კრძო მოხმარების ფონზე, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 7%-ით არის მოსალოდნელი. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წლის რვა თვეში ექსპორტის მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 37%-ით, ტურიზმიდან შემოსავალი - 198,3%-ით, ფულადი გადარიცხვების მოცულობა კი 62,2%-ით.

ამასთან, ADB 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის 6%-ის დონეზე ზრდას პროგნოზირებს, მაშინ როცა ძველი პროგნოზით მშპ-ის ზრდა 5%-ის ნიშნულზე იყო ნაგარაუდები.

ADB-ის პროგნოზით, 2022 წელს ინფლაციის ზრდა 11%-ით არის მოსალოდნელი, ხოლო მომავალ წელს 5%-მდე შემცირდება. ბანკის შეფასებით, ეს მსოფლიოში



სამომხმარებლო საქონელზე მოსალოდნელია მაღალი ფასებითა და ძლიერი შიდა ზრდით არის განპირობებული.

ბანკის პროგნოზით, ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წლის 6,1%-დან 2022 წელს 4%-ზე ნაკლებ ნიშნულამდე შემცირდება ძლიერი ეკონომიკური ზრდისა და პანდემიის საბასუნოდ მიღებული შეზღუდვების მოხსნის შედეგად.

ADB საქართველოს მხარდამჭერია 2007 წლიდან და ის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი პარტნიორია. საქართველოსთვის გაცემული სუვერენული და არასუვერენული სესხების ჯამური ოდენობა 3,9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში ADB-ის განვითარების პრიორიტეტებია მრავალმხრივი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, რეგიონული კავშირებისა და საჭარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება.

ADB-ის მიზანია, ხელი შეუწყოს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის წარმატებულ, მრავალმხრივ და მდგრად განვითარებას. ამავდროულად, ის კვლავაც აგრძელებს მუშაობას რეგიონში უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად. 1966 წელს დაარსებული ორგანიზაცია აერთიანებს 68 ქვეყანას, მათ შორის, 49 აზიის რეგიონიდანაა წარმოდგენილი, აღნიშნულია აზიის განვითარების ბანკის ინფორმაციაში.



„გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნის ხვედრია“

ლავა ხომეიძე 593 50 82 69

როგორი პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანაში და რას უნდა ველოდეთ სამომავლოდ, როგორია ხელისუფლებისა და ოპოზიციის სპექტრის ურთიერთობა, რომელი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების აუცილებლობას აანონსებენ სოციოლოგები და რა გზა უნდა აირჩიოს ევროპული ინტეგრაციისთვის პოლიტიკოსებმა? - ეს კითხვები, რომლებსაც ქვეყნის რეალობა წარმოშობს, პოლიტოლოგთა ყურადღების არეალში ექცევა. ამჟამად მათზე სასაუბროდ პოლიტოლოგი ბელა ირმეაძე მოვიწვიეთ.



კვლავ ემხრობა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებას. როგორც ზემოაღნიშნული სოციოლოგიური კვლევა გვარწმუნებს, მმართველ პარტიას 25 პროცენტის უჭერს მხარს, „ნაციონალისტ“- 7, „სტრატეგია აღმაშენებელს“- 3. სხვა პარტიების მარჯვენა ბლოკში უმრავლესობაა, რომ მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი ოპოზიციისთვის ვერ ხედავს ქვეყნის მართვის პოტენციალს. აღნიშნული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, რამდენ

გვაქვს პოლიტიკური კულტურის სფეროში, რაც განაპირობებს ქვეყნის ამჟამინდელ რეალობას - ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება, ინდივიდუალური მოქალაქეები, სუსტი სახელმწიფო. პრობლემური საკითხების ნუსხაში უმუშევრობა აღნიშნული კვლევების მიხედვითაც პირველ ადგილზეა. სამწუხაროდ, ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- რა არის ამის მიზეზი?
- თავიდათვი ის არის, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველომ ბევრი რამ გადაიტანა, ჩვენ მოუშადადებელი შეგზავით სისტემურ გარდაქმნებს, ამას დაემატა ომები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული, სამოქალაქო ომი და შიდა არეულობა. ყოველივე ამან დაანგრია არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკა, არამედ ქვეყნის ყველა სფერო.

- მიუხედავად პრობლემებისა და რთვი ვითარებისა საკითხებისა, როგორ ვითარდება ქვეყანა და რისი მიღწევის შესაძლებლობა გვაქვს?

- მიუხედავად უამრავი შიდა და გარე პრობლემისა, ქვეყანა ნელი

ბა რუსეთს, ეს ევროატლანტიკური ორგანიზაციებისთვის უკვე სერიოზული თავდადებაა. უკვე შეზღვეული ომი მძვინვარებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა, ჯერჯერობით, ომის დასრულებას არ აპირებს. როგორც ცნობილია, რუსეთმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. გარდა ამისა, კრემლი დასავლეთს დროდადრო ბირობული ომით აშანტაჟებს, ამას ჩვენი მოქალაქეები კარგად ხედავენ. ალბათ, ეს გარემოება ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს საქართველოში მოსახლეობის ნაწილის სკეპტიციზმს დასავლეთისადმი.

- 2022 წლის მიწურული და დამდეგი 2023 წელი, თქვენთვის აზრით, როგორი იქნება საქართველოსთვის?

- უდავოა, რომ 2022 წლის მიწურული და დამდეგი წელი საქართველოსთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება - გაირკვევა არა მხოლოდ კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი, არამედ ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთობა ქვეყნისთვის საჭირო ოტო საკითხებთან მიმართებით. როგორ გადაწყვეტს ხელისუფლება ამ საკითხებს - ცესკოს რეფორმირება, სარჩევნო სისტემის გაუმჯობესება, პოლიტიკური გარემოს აღმოფხვრა და ა. შ. ეს მნიშვნელოვანად განაპირობებს საქართველოს დაახლოებას ნატოსა და ევროკავშირთან, ამ მხრივ ქართული საზოგადოება ერთ საკითხში უნდა შეთანხმდეს: ევროპა საქართველოსადმი კეთილადანა განწყობილი, ამის თქმის საფუძველს იძლევა თუნდაც ის, რომ დასავლეთმა ჩვენს ქვეყანას არა მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ევროკავშირისა და ნატოში გასაერთიანებლად, არამედ ეკონომიკური და ფინანსური დახმარებაც გაუწია. ევროპარლამენტარების გზავნილებს სწორედ საქართველოს დემოკრატიულობის განმტკიცებისთვისაა გამიზნული.

- დაბოლოს, რას უნდა მოახმაროს განსაკუთრებული ძალისხმევა პოლიტიკურმა სპექტრმა ამ ეტაპზე?

- გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნის ხვედრია და თუ ამ გზით ვივლით, არც პროგრესულ ქვეყანათა მხარდაჭერა და არც თანადგომა მოგვაკლდება, ისიც სათქმელია, რომ დასავლეთი კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში მხოლოდ დაპირებებს დიდხანს არ შეეგუება. ისინი, როგორც ჩანს, გამადიდებელი მინით დააკვირდებიან 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ხელისუფლების მხრიდან და თუ ექვე შეეპარათ მათ შესრულებაში, დასავლეთისგან იზოლირება არ აგეგმება, რაც ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა არ უნდა დაუშვას. ყველაფერი უნდა გვაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს, ურთმლისოდაც საქართველოს პროგრესი შეუძლებელი იქნება.

- ხელისუფლებისა და ოპოზიციური სპექტრის ურთიერთობა განსაკუთრებით რთვილ საკითხებად დაკავშირებით იბყრობს დასავლეთის და რუსეთის ყურადღებას?

- ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გულგრილს არავის ტოვებს, ოპოზიციამ მძლავრ საპროტესტო აქციებს აანონსებს რეგარეშე არჩევნების მოთხოვნით, მმართველი პარტია რეფორმებზე საუბრობს და ოპოზიციას დესტრუქციულ ძალად მოიხსენიებს. დასავლეთიც და რუსეთიც გამადიდებელი შუშით აკვირდებიან ხელისუფლებისა და ოპოზიციური სპექტრის ურთიე-

დასამალი არაა, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა საქართველოში ყოველთვის რევოლუციური მუხტით მოდიოდა, ასეთ ფონზე ის ბოლომდე ვერ ამართლებდა მოსახლეობის იმედებს, სამჯერ გვექონდა მსგავსი რევოლუციური ფონი ქვეყანაში და ეს საგვებით საკმარისი საფუძველია მოქალაქეებისთვის, რომ არცერთ პოლიტიკურ ძალას აღარ ენდონ. ფაქტია, რომ ჩვენ სერიოზული პრობლემა გვაქვს პოლიტიკური და მმართველი ელიტების საკითხში

რობას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მიღებს თუ არა საქართველო კანდიდატის სტატუსს ევროკავშირისგან, ნატოსთან დაახლოება და აშშ-სთან სტრატეგიული მოკავშირის ხელშეკრულების გაფორმება, - ეს მიღწევა, ცხადია, პოლიტიკური სპექტრის ურთიერთშეთანხმებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ცესკოს რეფორმირება, სარჩევნო სისტემის გაუმჯობესება, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური პოლიტიკური გარემოს აღმოფხვრა და არასახარბილო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გარკვეულწილად ევროკავშირის მოწოდებული 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას უკავშირდება. სწორედ ამ მხრივ იყო საყურადღებო ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები...

- საქართველოში ჩატარებული ამ სოციოლოგიური კვლევების შედეგები რა დასკვნის საფუძველს იძლევა?

- საერთოდ, დასავლეთში სოციოლოგიურ გამოკითხვებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. არც ისაა დასამალი, რომ მსოფლიოში სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, უმაღლეს დონეზე განვითარებული. სოციოლოგები ხელისუფლებასა და ოპოზიციას აცნობენ მოსახლეობის მოსაზრებას სხვადასხვა საკითხზე, რა უნდა არ იყოს უმადლოდონი, ან უნდა გაეკეთდეს ამა თუ იმ სფეროში და ა. შ. დასავლეთში ამ გამოკითხვებს ენდობიან და ამ მიმართებით აგებენ თავიანთ პოლიტიკას, ჩვენთან კი ეს ინსტიტუტი რამდენად გამართული და ობიექტურია, სხვა საკითხია, თუმცა ქვეყანაში არსებული რეალობის სურათს გარკვეულწილად გვიქმნის. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ENDA-მ საქართველოში სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ჩვენ, ძირითადად, სამ საკითხს გამოვყოფდით: მოსახლეობაში ანტიპათია პარტიების მიმართ, უკმაყოფილონი არიან ქვეყნის არასახარბილო ეკონომიკური მდგომარეობით და ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა

ნიმე საინტერესო დასკვნა შეიძლება გავკეთდეს (თუ, რა თქმა უნდა, ეს რეალობის ამსახველი კვლევებია), თუმცა პირველ რიგში, უპირაინი იქნება, ამაზე დასკვნა ხელისუფლებამ გააკეთოს, რადგან თუ ეს შედეგები რეალობას ასახავს, მას მეტი დაფიქრება მართებს იმაზე, თუ რა იწვევს ხელისუფლებისადმი ასეთ მუსტ მხარდაჭერას. ამ მიმართებით შეუძლებელია პარტიამ უნდა გააკეთოს, ლეგიტიმაციის რა ხარისხს ფლობს მოცემული მომენტისთვის, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არსებულმა ხელისუფლებამ სამი საპარლამენტო, ორი საპრეზიდენტო და სამი ადგილობრივი არჩევნები ზედიზედ მოიგო, რისთვისაც მანამდე არცერთ მმართველ გუნდს საქართველოში არ მოუწევია. რაც შეეხება ოპოზიციას, სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენ არ გვაქვს კლასიკური ტიპის ოპოზიციის, რომელიც კონსტრუქციულ ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვის პროცესში.

- სხვათა შორის, ამ კვლევების მიხედვით ექსპერტები ამბობენ, რომ ხელში მოღიანად დისკრედიტებული პარტიები შეგვრჩა, რას ფიქრობთ?

- სამწუხარო რეალობაა, რომ ბოლო 29 წლის განმავლობაში არ შეგვრჩა სტაბილურად ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებდა ყველა მოწვევის პარლამენტში გარკვეული კვოტის დამოუკიდებლად შენარჩუნებას. დასამალი არაა, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა საქართველოში ყოველთვის რევოლუციური მუხტით მოდიოდა, ასეთ ფონზე ის ბოლომდე ვერ ამართლებდა მოსახლეობის იმედებს, სამჯერ გვექონდა მსგავსი რევოლუციური ფონი ქვეყანაში და ეს საგვებით საკმარისი საფუძველია მოქალაქეებისთვის, რომ არცერთ პოლიტიკურ ძალას აღარ ენდონ. ფაქტია, რომ ჩვენ სერიოზული პრობლემა გვაქვს პოლიტიკური და მმართველი ელიტების საკითხში, რაც სამწუხაროა, ეს პრობლემები უარყოფითად მოქმედებს კლასიკური პარტიის არსებობაზეც, ასევე სერიოზული პრობლემა

ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა და ვითარდება. სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ კიდევ ვერ დაუღწეოდა თავი სიღარიბისთვის, მაგრამ წინსვლა მაინც გვაქვს და რომ ვერ ვიყენებთ სრულყოფილად, ამას მრავალი მიზეზი აქვს, რის შესახებაც ჩვენ სხვა დროს უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. კვლავ ზემოაღნიშნული კვლევებს დავუბრუნდეთ, ეს გამოკითხვა მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ ევროსტრუქტურებში გაწევრიანების მსურველითა რაოდენობის მარჯვენა ბლოკში პროცენტით იყო შემცირებული, თუმცა ამავე დროს იკლო პრორუსული განწყობების მარჯვენა ბლოკი, რაც კარგია. არადა, რამდენიმე წლის წინ მოსახლეობის 80 პროცენტი ემხრობოდა საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციას. აქ შეიძლება ორმა ფაქტორმა ითამაშოს დიდი როლი - სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა. 25 წელია მაღალი ტრიბუნლიდან გვესმის მოწოდებები ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, თუმცა სამწუხაროდ, მოქალაქეები ვერ ვხედავთ სერიოზულ ნაბიჯებს ამ კუთხით. გარდა ამისა, მოსახლეობას აწინებს რუსეთის ქმედებები უკრაინაში, პრაქტიკულად, ამ ქვეყანაში დასავლეთი ეომე-

ყალბად დაედო იოსებ გოგაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლო გარემოსთვის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას

სუსის განცხადების თანახმად, ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენლებმა არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ყალბად დაედო: თბილისში, კახეთის რეგიონში, ხონის მუნიციპალიტეტში, მარტყოფსა და დაბა ბაკურიანში მიწის 34 ნაკვეთს (საერთო ფართობი 4 439 260 კვმ), 4 საცხოვრებელ ბინას და სიღნაღში მდებარე სასტუმროს. ყალბად ასევე დაედო ზემოხსენებულ პირთა მოძრავ ქონებებს - 13 ავტომანქანას, 3 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, 3 ერთეულ მოტოტექნიკას და 15 ცეცხლსასროლ იარაღს. ხსენებული უძრავი და მოძრავი ქონებების რეალური საბაზრო ღირებულებების დადგენის მიზნით დაინიშნულა სასაქონლო ექსპერტიზა, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან ბურიანიძე

უხსოვარი

უმკაცრესად გვმობთ რუსეთის ფედერაციასთან შეერთების საკითხზე ე.წ. „რეფერენდუმის“ ჩატარების გეგმას უკრაინის რეგიონებში, რომლებსაც ნაწილობრივ რუსი სამხედროები აკონტროლებენ“, - ამის შესახებ ნათქვამია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განცხადებაში. ნატო ასევე აღნიშნავს, რომ მოკავშირეები არასოდეს აღიარებენ რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიას. აღინეცეს, ლუგანსკის, ზაპოროჟიისა და ხერსონის ოლქებში ყალბ რეფერენდუმებს არ აქვთ ლეგიტიმაცია და იქნება გაეროს ქარტიის აშკარა დარღვევა. - აღნიშნულია ნატოს განცხადებაში. დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიის ოლქებში რუსეთთან შეერთების შესახებ ე.წ. „რეფერენდუმები“ გუშინ დაიწყო.

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, მსოფლიოში ლიდერები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უნდა დაელაპარაკონ მშვიდობის კარის გასაღებად. მისივე თქმით, ეს არის პროცესი, რომელიც მოითხოვს ყველა მსოფლიო ლიდერის ერთობლივ ძალისხმევას. ყველაზე, გისაც მეტ-ნაკლებად ურთიერთობა აქვს პუტინთან, უნდა განიხილოს ეს საკითხები მასთან, რომ ეს კარი გაიხსნას, იგივე უელენსკისთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვლინდება ამ ლიდერების მიმართ სრულიად განსხვავებული ნეგატიური მიდგომები, რაც არ მოითმის მოსალოდნელი შედეგს, პირიქით, ვფიქრობ, რომ აქ დადებულია და ნგრევის რისკები კიდევ უფრო გაიზარდება“, - განაცხადა თურქეთის ლიდერმა.

მოსკოვის არსენალში არსებული ნებისმიერი იარაღი, მათ შორის სტრატეგიული ბირთვული იარაღი, შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთის მიერ ანექსირებული ტერიტორიების დასაცავად, - ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეფერენდუმები გაიმართება. აღნიშნავს რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიებს რუსეთის შემადგენლობაში მივიღებთ. რუსეთმა გამოაცხადა, რომ არა მხოლოდ სამთბილიზაციო შესაძლებლობები, არამედ ნებისმიერი რუსული იარაღი, მათ შორის სტრატეგიული ბირთვული იარაღი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთი დაცვისთვის“, - აღნიშნა მან.

ჩინეთის ხელმძღვანელ რამზან კადიროვის განცხადებით, რესპუბლიკაში მობილიზება არ განხორციელდება, რადგან მათ უკვე გვეგებს ვალდებულებებს. კადიროვის მტკიცებით, უკრაინაში ომის დროს საბრძოლო მოქმედებებში 20 000 ადამიანი მონაწილეობდა და ჩინეთმა „დასახულ გეგმას“ 254%-ით გადააჭარბა. მობილიზაციას არ გეგმავს არც ბელარუსი. „არ იქნება არანაირი მობილიზაცია. ეს არის ტყუილი“, - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ. მისივე თქმით, ბელარუსი ომში ჩართვას არ აპირებს. ჩინეთი მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარი სახლისა და მიწის დაცვა მოგვიწევს“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, 21 სექტემბრიდან რუსეთში ნაწილობრივ მობილიზაცია დაიწყო.

მომხსენებელი
და შველიძე



ამბავი კაცისა, რომლის საკუთარ თავს ეძებს

ნაირა შუტაბაძე 27 48 93

ბიორბი არაბული - დასამახსოვრებელი და გამოკვეთილი ხელწერის მქონე პოეტი ძლიერი მუხტით, სათქმელის მაღალი კონცენტრაციით. 2012 წელს გამოქვეყნდა „ინტელექტმა“ დაბეჭდა მისი სადებიუტო ლექსების კრებული „გზაზე გასვლა“. 2015 წლიდან არის ხელოვნების ფესტივალ „ჩრდილის“ ორგანიზატორი. 2016 წელს გახდა „წინანდლის პრემიის“ ლაურეატი პოეზიაში. 2017 წელს გამოქვეყნდა „ინტელექტმა“ გამოსცა გიორგი არაბულის მეორე კრებული „გვინი“, რომელიც პრემია „საბას ფინალისტი“. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, იტალიურ, შვედურ, ჩეხურ, პოლონურ, უკრაინულ და სომხურ ენებზე.



წმი პოეზია, რეჟისურა, მხატვრება, ოჯახი, ხევისურეთი... ახლავს თუ არა ამას გარკვეული სირთულეები?

გიორგი არაბული გაზეთ „აქარის“ კითხვებს პასუხობს.

- ვინ არის გიორგი არაბული?
- ეს ჩემთვისაც საინტერესოა, ყოველდღე ამას ვეკითხები საკუთარ თავს და გულწრფელად რომ ვითხრათ, არც მაქვს სურვილი, მალე ვიპოვო პასუხი. მხოლოდ ის ვიცი, რომ წერს ლექსებს, სწავლობს თეატრის რეჟისურას და აქვს ფილმის გადაღების სურვილი, რომლის სცენარზეც ახლა მუშაობს.

- რამდენად იჭრება თქვენს ბიოგრაფიას, წარმოშობა, ფესვები, ოჯახი თქვენს ლექსებში?
- რა გარემოშიც ვავიზარდ და რა ცნობიერებაც ჩამომიყალიბდა, ის გარემო მკარანახობს იმას, რაზეც ვწერ, სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელია. ხევისურეთი და ის ყოფა, სადაც ვავიზარდ - სავსეა ამით ჩემი პოეზია და ძალიანაც რომ მოვიზიდო, შეუძლებელია მას დავალწყო თავი.

- როგორ დაახასიათებდით თქვენს შემოქმედებას, სხვისი რომ ყოფილიყო?
- თითქოს რთული და თან მარტივი შეკითხვაა. ის, რასაც ვწერ, ძალიან მაინტერესებს მე თვითონ, სხვაგვარად, ალბათ, არც დაგწერდა... მით უმეტეს, რომ ჩემს ტექსტებში მუდმივად „კითხვების დასმა“ და არა - „პასუხები“. ერთდროულად მოკეთებ ვარ და მტერიც საკუთარი ტექსტების.

- როგორ თანაარსებობენ თქვე-

ლისთვის.

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდებიან:“
- რა გული წავა, იცოცა წავლენ და მისკენ მიდიან...“ ეს რუსთაველია.

- ფიქრობთ, რომ აუცილებელია პოეზიამ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები და გარემო ასახოს? თქვენს შემთხვევაში როგორა?
- აუცილებელი პოეზიაში არაფერია, ის თავისუფალი ყოველგვარი აუცილებლობისგან... ჩვენ შეგვიძლია რომელიმე პოლიტიკური ნიუსი წავიკითხოთ როგორც ლექსი, ან საინფორმაციო გამოშვება ტელევიზიის საღამოდ ჩავთვალოთ. თუმცა იგივეს როცა პოეტი წერს, ჩემთვის საინტერესო არაა. სოციალური პოეზია არსებობს, მაგრამ ის რაღაცით განსხვავებული მაინც უნდა იყოს იმისგან, რასაც ჟურნალისტი სტატიაში წერს. თუმცა, როგორც ვთქვი, აუცილებელი არაფერია და ყველა ავტორი თავისუფალია წერის დროს.

- თქვენი თვალთახედვით, რა არის თანამედროვე სამყაროს მთავარი პრობლემა, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩვენი პლანეტის ბედი ადარდებთ და მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლა სურთ?
- მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ პლანეტის ბედი თითქმის არავის ადარდებს, ეს, უბრალოდ, პოზაა. პირველ რიგში, ყველას საკუთარი თავი ადარდებს და ყველაფერს აკეთებს თავის გადარჩენისთვის. ყოველ წუთს ადამიანი გაცნობიერებულია თუ გაცნობიერებულად აზიანებს პლანეტას. სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა სურათს, ქრისტიანს, ბრუნოს... სურდათ, მაგრამ კი ვიცი, როგორ მოექცა მათ „სამყარო“.

- აზროვნების ბიძგი...
- გარემო და სოციალური, ადამიანები და მოვლენები ჩვენ გარშემო, დაუწერელი ზნეობრივი კანონები და ინდივიდუალური მორალი გაძლევს აზროვნების ბიძგს, თუმცა აზროვნება აგრეთვე, დამოკიდებულია გამოცდილებაზე და მესხიერებაზე.

- რა არის თქვენთვის ადგილი...

განების წყარო?
- ზოგჯერ „მცირედით“ კი - განწყობები და ადამიანები, რომლებიც უფრო საინტერესოს ხდიან შენს ყოველდღიურობას. მითოლოგიური თქმულებები და მთლიანად ფოლკლორი, რომელიც კაცობრიობის გამოცდილებაზე გვიყვება, ფილმები, რომელთა ნახვის შემდეგ ბევრი რამ იცვლება შენს ფიქრებსა და შეხედულებებში.

- ბუნებრივია, ცხოვრებაში გარკვეული წინააღმდეგობები გექნებოდათ, რას გაიხსენებთ?
- ალბათ, ყოველდღიურობა სავსეა დიდი თუ პატარა წინააღმდეგობებით, რომელთა გადალახვაც გაძლევს სტიმულს, გაკვეთილს და გამოცდილებას. წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ უფრო ემოციის სახით ვიმანსორებ მას, ვიდრე, როგორც ფაქტს.

- ახალი რა არის თქვენს შემოქმედებაში ენასა და თემასთან დაკავშირებით?
- ახლა ვწერ ახალ ნაწარმოებს, უფრო განსხვავებული ენითა და ფორმით, ვიდრე აქამდე ვწერდი. რაც შეეხება თემას, ის თითქმის არ იცვლება... არის თემები, რომლებიც ყოველი ეპოქისთვის იყო საინტერესო და არასდროს ყოფილა ახალი. ეს არის ამბავი კაცისა, რომელიც საკუთარ თავს ეძებს.

- კმაყოფილი ხართ თუ არა დღემდე დატოვებული ცოდნითა და გამოცდილებით?
- რა თქმა უნდა, არა და თითქმის არაფერი დამიგროვებია, რადგან რაც უფრო მეტ გამოცდილებას იძენ, უფრო ხვდება, რამდენად გამოუსდელი ხარ. ეს უფრო საინტერესო და მიზნივდელია, ვიდრე უბრალოდ, კმაყოფილება. კმაყოფილების დონის განსაზღვრა რთულია.

- როგორ წერთ, ჯერ არსებობს რაღაც იდეა, ჩონჩხი და მერე ასხამთ ხორცს?
- ზოგადად, რაიმეს წერის დაწყება იდეის გარეშე, ალბათ, გრაფიკული უფროა, ან უბრალოდ - სახლის შენების დაწყება საძირკვლის გარეშე. აქედან გამომდინარე, იდეის გარეშე (თუნდაც, ზოგადი და ბუნდოვანის), ფაქტობრივად, არასოდეს ვიწყებ წერას. პირველ ეტაპზე ვცდილობ ყველაფერი გადავიტ-

ანო ფურცელზე, რაც თავში მომივა, ყველაზე საინტერესო ეტაპი კი, რაც ყოველივე ზედმეტის წაშლას და თითოეული წინადადების დამუშავებას გულისხმობს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება. მომწონს ის ფაქტი, რომ ცარიელ ფურცელზე ოცდ-აცამეტი ასობგერისა და რამდენიმე სიმბოლოს გამოყენებით შეგიძლია სრულიად ახალი სამყარო შექმნა.

- როდის ხართ ბედნიერი და რა არის საჭირო ამ გრძობისთვის?
- რაც უნდა ბანალურად ჟღერდეს - როდესაც ბედნიერად ადამიანებს ვხედავ. ჩვენი ბედნიერებები ერთმანეთზე და მოკიდებულია. ზუსტად რა არის ამისთვის საჭირო, არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რა უშლის ხელს ბედნიერებას.

- ტექსტი, რომელიც არასოდეს გებზრდება...
- იოანეს გამოცხადება, ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგია“ და ივანე წიკლაურის „რამ დამაბერა“.

- კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს დაუსვამდით...
- რატომ ვცდილობ ამ ინტერვიუში „საინტერესო“ პასუხები გავცეთ?!

- დაბოლოს, ცხოვრების მთავარი წინადადება...
- შეიცან თავი შენი. როგორ მიყვარდი... უსიტყვოდ მტოვებ... უსიტყვოდ მტოვებ ბედის ამარა, მე უშენობა რომ არ შემეძლო, შენ სწორედ ამან გაგათამაშა. რაღა ვქნა თუკი ისევ მაჩინებარ, ისევ თუ მინდა შენი დანახვა, შენი სიტყვები... „ო, რა კარგი ხარ...“

ახლა სადა ხარ, ახლა სადა ხარ?..
...კარავი... კოცნა... ალერსი...
სიბო, თითების სიბო, შენი თითების, თ, ის აპრილი... იმ აპრილს თითქოს

კიდევ გაბრძობი...
კიდევ გაბრძობი...
...რისთვის ვიხსენებ იმავე გრძობას, რომ შემაყარა შენმა დალაღმა, და სიყვარულმა კი არა მხოლოდ, შენ გაზაფხულმაც გაგათამაშა.

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ დაიწყო

ოთარ ცხენაძე 599 85 21 14

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ ორგანიზატორი და მასუღდგმულელები, ცნობილი რეჟისორი, ქართული მწერლობისა და ხელოვნების ქომაგი ვახტანგ ბერიძე იმ სოფლის მკვიდრია, სადაც დროთა ქარტყლივს გადაარჩენილი ფურტიოს თაღვანი ხილია შემონახული. შემთხ-

ვევით არაა, რომ დასაწყისიდან მოყოლებული ახლანდელი მეათე ფესტივალის ჩათვლით, მონაწილეებს აქ უხმობს. ფესტივალის აქტიური მონაწილეები იყვნენ შოთა ზოიძე, გიორგი მახარბლიძე, ყუყუნა ხაჯიშვილი, გონერ ჭეიშვილი, ზურაბ ზოიძე. ისინი წუთისოფელში აღარ არიან. წლებგანდელ ფესტივალს არ ესწრებიან ქუთაისელი

გიზო თავაძე, გორელი ჯემალ ინჯია, ამბროლაურელი გურამ გორდეზიანი, თიანეთელი ტარიელ ხარხელაური, მოხვევი გიული ჩოხელი, ქართული ფოლკლორის ამგდარი ეთერ თათარაძე... სამაგიეროდ, გახსნის ცერემონიაზე მოვიდნენ საქვეყნოდ აღიარებული ქართული სიტყვის ოსტატები ბათუ (ბართლომე) დანელია, შორენა ლებანიძე, ოთარ ჩხე-



იძე, გიორგი ხორბალაძე, ნინო მოდერეკილაძე.

ფესტივალი გახსნა და მონაწილეებს სიტყვით მიმართა ვახტანგ ბერიძემ. შეკრებილებს მიესალმნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს მყოფი რიტარი დეპუტატი ფრიდონ ფურტაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გურამ ზოიძე. ღონისძიების წაყვანა ფურტიოს საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში, გამოცემლობა „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ და ფესტივალის მრავალგზის მონაწილე პოეტმა გვანცა ჯობავამ ითავეს.

საკუთარ შემოქმედებაზე, ახლო პერიოდში გამოცემულ წიგნებზე ისაუბრეს ბათუ დანელიამ, ავხ-

აზეთიდან დეგნილიმა პოეტმა ირაკლი შამათავამ, ბესო სოლომონაშვილი, ივა ვეზუაშვილი, რუსუდან შორეულიანი, ბექა ადამაშვილი, ეკატერინე ტოგონიძე, როსტომ ჩხეიძე, ბელა ქებურია, ნინო მოდერეკილაძე, შორენა ლებანიძე.

შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მწერლებს თავიანთი ხელოვნება გააცნეს.

- ფესტივალი დაიწყო. სამი დღის განმავლობაში საინტერესო და შინაარსიანი პროგრამა გველოდება, - თქვა ვახტანგ ბერიძემ.

ფესტივალის პირველ დღეს თბილისში არსებული გამოცემლობების წარმომადგენლებმა ახალი წიგნების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს.





„იველი მაქვს, მსიკად მაინს დაჯაჯაყოფილუხ ჩეიი რედაქტორებისა და მკითხველის არაერთგვაროვან ბემოვნებას“

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია მაჭახლისხეობელი მწერალი მზია სალგარდო, რომელიც ახლანდელ საბერძნეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

საბერძნეთში თესალონიკის გენერალური საკონსულოს მიწვევით ვიმყოფებოდი. საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ოცდაათწლიანი დაკავშირებით დაგეგმილ აქტივობათა შორის ჩემი შემოქმედებითი საღამოც იყო. რაც შეეხება ჩემი სტუმრობის არაოფიციალურ მხარეს, კერძოდ, ეკლესიამონასტრების მოლოცვასა და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის მონახულებას, ეს, ალბათ, ყველაზე ხაზგასასმელია. თესალონიკი, როგორც ცნობილია, ყველაზე კომფორტული და სასურველი ქალაქია სიწმინდეებითა და სიძველეებით დაინტერესებულთათვის. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი მასპინძელი ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა, საშუალება გვქონდა, თითქმის ყველა ნაბიჯზე მოგვეჩვენებინა ტაძრები ქალაქის როგორც ცენტრალურ, ასევე ზედა ნაწილში, თვლი შეგვევლო XVIII-XIX საუკუნეებში აგებული ხის ულამაზესი სახლებისთვის, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში თესალონიკში გაჩენილ



ბულ სალოცავებს საჭაროდ ედებოდა რაზი“.

უცხოეთის რომელ ქვეყანაში გასურთ მოგზაურობა?

ერთადერთი, რაც ახლა სულთა და გულით მინდა, ეს ტაო-კლარჯეთის მონახულებაა. ვიმედოვნებ, მალე შევუერთდები პროფესორ ბონი მალაყმასის მიერ ორგანიზებულ ტურებს ამ მიმართულებით და ისტორიული ტაძრების მოლოცვით, ოცნებებში გაფანტულ სულს უკანვე ჩავიბრუნებ.

საშუალებად რომ მოგვეცეთ, ვის ლექსებს თარგმნით ქართულად?

ამ ბოლო დროს გადავწყვეტიე, თუ შესაძლებლობა მექნება, ძირფესვიანად შევისწავლო თურქული ენა. ძალიან მაინტერესებს, თურქეთში მოღვაწე ეთნიკურად ქართველების შემოქმედებაში რამდენადაა წარმომჩენილი ქართული სისხლის ყვილის ექო.

ლიტერატურული ფესტივალის „ზეკართან“ მონაწილე იყავით. რას იტყვით მის მნიშვნელობაზე?

რამდენიმე დღის წინ ვწერდი, რომ ვახტანგ ბერიძის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „ზეკართან“ იმდენად მასშტაბურ მნიშვნელობას იქნეს, რომ ეტაპობრივად ზეკარს უახლოვდება-მეთქი... ვახტანგ ბერიძე და მისი პროექტი უპირობოდ დარჩება ისტორიას,

კრებულზე იწყებთ მუშაობას. სახელი ხომ არ შეგიჩვენებია?

პოეტურ კრებულზე მუშაობა დავიწყე მხოლოდ გაფანტულ ლექსების თავმოყრით. როდის გამოვეცემ ან სად, ეს ჯერ არ ვიცი. რაც შეეხება წიგნის სახელწოდებას, მასზე ბევრი არ მიფიქრია, ვინაიდან ყოველთვის ვიცოდი, რომ მას მაჭახლის ხეობაში ჩემი ადგილის დედის - „სამზიარის“ სახელი დაერქმეოდა. დროთა განმავლობაში მრავალჯერ ვავსივარდებანი ამ ტოპონიმის არსი, შინაარსი, მიზნობრიობა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმ კანონზომიერებაში, რომ სწორედაც ტოპონიმია სახელის პოეზია... როცა ჩემი პოეტური კრებულის შესაძლო სახელზე ბატონ სანდრო ბერიძესთან ვისაუბრე, რედაქტორმა „სამზიარში“ სამემა და ზიარება ამოიკითხა, ვილაყებმა კი დაშიფრული „სალგარიძე მზია არის“. არ ვიცი, ვისთვისაა, მაგრამ ჩემთვის ეს სახელი, ყველაფერთან ერთად, მამარჩმის მშობელი მიწიდან ოქროცურვილი მადლია, რომლის წყალობაც დაბადებიდან დამეყვა.

ვინ იქნება თქვენს მომდევნო წიგნის რედაქტორი?

პროზაული კრებულის რედაქტორი ქალბატონი ლალი კონცეილიძე იყო, პოეტური კრებულის რედაქტორებად კი ქალბატონებს ვთერ თათარაძესა და ნათია ფურცაძეს მოვიზარებ. რაც შეეხება ბატონ სანდრო ბერიძეს, ის ჩემი პირველი და ყველაზე კრიტიკული რედაქტორია. როცა ბატონმა სანდრომ ხაზგასმით მითხრა, რომ ვალდებული ვიყავი, „არ გადავქართულდას“ ნაწარმოებების რანგში ამეყვანა ჩემი ლექსები და მხოლოდ ამის შემდეგ მეფიქრა მათ გამოცემაზე, მივხვდი, რომ „ქვების სროლის“ ნაცვლად ისევ „შეგროვებისკენ“ უნდა მივბრუნებულიყავი. მზის ბუნობა დგებოდა. მთელი არსებით მოვემზადე და განვეწყვე ამ მისტიკური დღისთვის. მთელი ღამე ვწერდი „მზის ბუნობას“ და დღლით მზეს ახალი ლექსითა და სრულიად მეტამორფოზული მზია სალგარიძის სახელით ვეცი თავყვანი. იმ დღიდან მოყოლებული, არაერთი თეთრი ლექსი გამოვეცი ჩემს თავს და ნათივ სხეულივით გამოვამუყურე. იმედო მაქვს, მცირედ მაინც დაჯაჯაყოფილუხ ჩემი რედაქტორებისა და მკითხველის არაერთგვაროვან ბემოვნებას და ამ კუთხითაც მოვსინჯავ ადგილის სიმყარეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

მრავალი ნაწარმოების ინსპირაციის წყაროა ბებოს მოყოლილი ამბები. როცა ის ყვებოდა საზღვრით გახლენილ ოჯახებზე, მთელი სიცხადით განვიცდიდი ისტორიული რეალობის სისასტიკეს. სწორედ ამ განცდითაა დაწერილი ჩემი „მაჭახლური ივენანა“, რომელიც საზღვრის მიღმა დარჩენილი ქალის ტრაგიკულ ისტორიასა და მაშინდელ რეალობაზე მოგვითხრობს...

მასობრივ ხანძარს გადაურჩა, გვენახა არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი, დია ცის ქვეშ თუ სხვადასხვა შენობის ინტერიერში გამოფენილი სამუზეუმო ექსპონატები, ისლამური ცივილიზაციის კვალობაზე, ტაძრებში საგანგებოდ, ლამის აგურებამდე აფხერცილი ფრესკების აქა-იქ შემორჩენილი უნიკალური ნიმუშები. თითქმის ყველა ტაძარში დარჩენილია ხანძრის კვარი, თითქმის ყველა ეპოქის ტაძარში (სიძველის მიუხედავად) დამონტაჟებულია გათბობა-გაგრილების თანამედროვე სისტემები, ზოგან კი შეშის ლუმენები, საგანგებოდ გახვრტული ტაძრის კედლებში მიღებულაყრილი. ეს ყველაფერი გამოფენილი და სამუზეუმო იყო ჩემთვის. მუზეუმებიდან მხოლოდ ათათურქის სახლ-მუზეუმში ვნახე. თეთრი კოშკისკენ მიმავალმა, მოგინახულე საყოველთაოდ ცნობილი არისტოტელეს უნივერსიტეტი. საგანგებოდ წავედი ქალაქგარეთ, რათა წმინდა ბერი ბაისის საფლავზე მივსულიყავი, პატივი მიმეცა და როგორც ჩემი ოჯახის, ასევე მთელი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მელოცა. საბერძნეთში ჩემი ვიზიტის იდეა ლია (ლამზიარა) კოტანიდოუს დაებადა, რომელიც ჩემი თანაკლასელი იყო ბათუმის პირველ პროფილურ გიმნაზიაში. მანვე ითავა ჩემი მასპინძლობა და ვიდობა. იგი ბსუ-ის დამთავრების შემდეგ, სამუდამოდ დაუბრუნდა წინაპრების ფესვებს - საცხოვრებლად საბერძნეთში. ოცი წლის უნახავი მეგობრის ნახვის სიხარულს თესალონიკით ტკბობის სიამოვნება მოჰყვა. არ მგონია, ამ შთაბეჭდილებამ მალე გამიაროს.

როგორც ვიცით, პროზაული კრებულს „არ გადავქართულდა“ თეთრი ლექსების ციკლიც მიუმატებ...

პირველი წიგნის ხელში აღებამ ისეთი გარდატეხა მოახდინა ჩემში, რომ საკუთარი თავისადმი, როგორც ავტორისადმი, კრიტიკული მიდგომის თამასამ მნიშვნელოვნად აიწვია. ძალიან შემეშინა იმ პასუხისმგებლობამ, რასაც საკუთარი წიგნით საზოგადოების წინაშე წარდგომა ჰქვია. ამიტომაც მსურდა, ეს საზოგადოება ყოფილიყო კრიტიკ

ული... პროზაული კრებულის მეტნაკლებად წარმატებული წარდგენის შემდეგ, როგორც მიტოვებულ შვილს, ისე მივუბრუნდი პოეზიას და ჩემდაუნებურად „შემომეწერა“ თეთრი ლექსების ციკლი, რომელსაც „წარმართობიდან ქრისტიანობამდე და პირიქით“ ვუწოდებ. რატომღაც გვრძნობ, რომ ამით ჩემი შემოქმედებითი მრწამსის, რწმენისა და მსოფლმხედველობის, ერთი სიტყვით, კრეფოს ოქროს შუაღედს მივებახლე.

ვისთან შეხვედრებმა ჰპოვა გამოძახილი თქვენს შემოქმედებაში?

ჩემს ცხოვრებაში შემთხვევითი ადამიანები არ არსებობენ. მათ, ვისაც ჩემს „მოკალოებულ წრეში“ ვუშვებ, განსაკუთრებული ადგილი და როლი აქვთ. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ რადიკალურად განსხვავებული ინტერესებისა და მსოფლმხედველობის ადამიანებთან მიყვარს ურთიერთობა, ვერ ვიტან სტანდარტულად მოაზროვნე, პედანტ და რაფინირებულ ინდივიდებს. აქედან გამომდინარე, ჩემს ნაწარმოებებში, ზოგჯერ ღიად, უმეტესწილად კი შეფარვით, ვსაუბრობ მათზე. ასევე, ხშირად ვმართობ. ხოლო მათ, ვინც დაუდევრად და მოურიდებლად ცდილობს ჩემი განწყობის ხელყოფას, უშურველად ვუთმობ ადგილს „პასკვილებში“ და ამით ვცდილობ მათი სახეების და არა სახელების უკვდავყოფას.

ორწლიანი პაუზის შემდეგ, სახალხო დღესასწაულისთვის „მაჭახლობა“ სამზადისი დაწყებულია. მშობლიური ხეობის ამ ზეიმში რა კუთხით ერთვებით?

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, „მაჭახლობასთან“ არც პირდაპირი შეხება მაქვს და არც ირბი. ბოლო დღესასწაული, რომელსაც დავესწარი, პანდემიამდე რამდენიმე წლით ადრე გაიმართა. იქიდან გამომდინარე, რომ მაჭახლის ხეობასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ძალიან სენსიტიური ვარ, მირჩენია, ვიდგე განზე, ვიდრე თვლი დავხუჭო რაღაცებზე. აქედან გამომდინარე, შემოვიფარგლები მხოლოდ ყურნალ „მაჭახლის“ სარედაქციო კოლეგიის წევრობით.

თუ ყოფილხართ ზედა მაჭახელში?

ზედა მაჭახელში მოხვედრა ჩემი ბავშვობის ოცნებაა, რომელიც დღემდე ვერ ავისრულე. მიუხედავად იმისა, რომ იქ არასდროს ვყოფილვარ, მას განსაკუთრებული მისია აკისრია ჩემს შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, ლიტმოტივადაც კი გასდევს ჩემი ნაწარმოებების აჭარულ დიალექტზე შექმნილ ციკლს.

ვინ ენატრებოდათ თქვენს წინაპრებს?

მართალია, ჩემი ოჯახის ახლო ნათესავები არ დარჩენილან თურქეთის საზღვრებში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტრივილი ნაკლებმნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. მამარჩემი საარფის საბაჟოს თანამშრომელი იყო გახსნის დღიდან. ახლაც მახსოვს მისი ემოცია, როცა საბაჟოზე თურქეთის მხრიდან ნანატრ სამშობლოში დაბრუნებული, ხანდაზმული მუშაკი ქალბატონი მიუახლოვდა, უსიტყვოდ დააკვირდა და პირდაპირ უთხრა, „ნენე-ბაბაის სულს ვფიცავ, შენ ჩემი ღელის კაცი იქნები, სალგარიძეებს მივიგავს ცხვირ-ბუკიო“. ის ქალბატონი, საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მთარგმნელის იბრაიმ გორაძის და ყოფილა, რომელიც დიდი ხანი ელოდა საზღვრის გახსნას, რომ სამშობლოდან იძულებით გადახვეწილს, სამუდამო განსასვენებელი მაინც ჰქონოდა მშობლიურ მიწაზე.

ამ მონატრებამ თქვენს შემოქმედებაში რა გამოძახილი ჰპოვა?

მრავალი ნაწარმოების ინსპირაციის წყაროა ბებოს მოყოლილი ამბები. როცა ის ყვებოდა საზღვრით გახლენილ ოჯახებზე, მთელი სიცხადით განვიცდიდი ისტორიული რეალობის სისასტიკეს. სწორედ ამ განცდითაა დაწერილი ჩემი „მაჭახლური ივენანა“, რომელიც საზღვრის მიღმა დარჩენილი ქალის ტრაგიკულ ისტორიასა და მაშინდელ რეალობაზე მოგვითხრობს... „წვიმდა და ცას ეწვოდა ჩვენზე უმფო, შვა გულზე გახლენილი სანახები, წაქცევილი წისქვილი და საძიგველი პირამდე ავსებდული ნენვით. ხმა ჰქონდა გაკმენდელი კლდე კვიცინას, კარხალი ქარჩხს იფხრეწდა ბრაზით და სადღაც მიტოვე

როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება არა მარტო აჭარის, არამედ საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში.

ბოლო პერიოდში უფრო აქტიურად ჩაერთეთ აჭარის მთიანეთში შემინახულ სახალხო დღესასწაულებში...

2016 წელს ლიტერატურული ფესტივალის „ზეკართან“ ეგიდით სტუმრობამ აჭარის მთიანეთში განსაკუთრებული ნიშა შესძინა ჩემი ინტერესების სფეროს, რაც ნათლად აისახა ჩემს შემოქმედებაში. აგვისტოში კი შუახევის მთებში დავესწარი „კუნტიჯეობას“. უნდა ვაღიარო, რომ ერთ-ერთი გამორჩეული და კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად აღმატებული რაიონია შუახევი. სხვა რაიონებთან შედარებით აქ რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას დაედო სათავე.

როგორც ვიცით, ახლა პოეტურ

ილია დარჩიაშვილისა და მეკლუთ ჩავუშოლლუს შეხვედრა

გეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, შედგა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ინფორმაციას ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ილია დარჩიაშვილი და მეკლუთ ჩავუშოლლუმი ისაუბრეს საქართველოსა და თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის მიმდინარე დღის წესრიგზე, ორ ქვეყანას შორის გამართული მაღალი დონის ვიზიტებსა და მათ შედეგებზე.

„მინისტრებმა ასევე მიმოიხილეს საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობა საერთაშორისო ფორმატებში და ურთიერთმხარდაჭერის საკითხი. საუბარი შეეხო თანამშრომლობის წარმატებულ რეგიონალურ ფორმატებს საქართველოსა და თურქეთის მონაწილეობით და ამ მიმართულებით ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას.

მინისტრებმა მიმოიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და ხაზი გაუსვეს სტაბილურობისა და მშვიდობის მნიშვნელობას რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის. ხაზი გაესვა თურქეთის მხრიდან საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას.

ილია დარჩიაშვილი მაღლობა გადაუხადა კოლეგას ბორჯომის ხეობაში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების დროს თურქეთის თანადგომისთვის. მინისტრებმა დაადასტურეს მზაობა, განაგრძონ მაღალი დონის ინტენსიური კომუნიკაცია სტრატეგიული პარტნიორობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან ბუჩიძე



«დარჩიქეობა» - სოფლის სიყვარული

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

შუბანი, დარჩიქეობა, ნაწილობრივ ცინარეთი, ტბეთი, ინჟინრეთი ის სოფლებია აჭარის მთიანეთში, რომლებსაც ძველქართული დასახლებების კვალი დღემდე ამჩნევია. დარჩიქეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიას ადასტურებს სოფლის აღმოსავლეთით წამოშობილი გოგლაურას (მთისუბნის) ციხის ნაშთები. ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობა შუა საუკუნეებით თარიღდება.

დარჩიქეობის მეციხოვნეები ჰყავდათ და ქვეყნის მომავალზე მზრუნველნიც. შორს რომ აღარ წავიდეთ, ბოლო ერთი საუკუნეც საკმარისია. ოსმალებისგან გათავისუფლებულ «დარჩიქეობაში» (ასე უწოდებდნენ მაშინ) ქართული სკოლის აღდგენა მომავალ წარმატებათა საწინდარად იქცა. ამ სკოლის კედლებში აღიზარდნენ 40-მდე ექიმი, 10-მდე მეცნიერი, ეროვნული მემკვიდრეობის მრავალი წარმატებული სპეციალისტი, ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოზე, სოფელზე, ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ.

წუთისოფელში აღარ არიან ნოდარ, კუკუერი, სერგო ცეცხლაძეები, ზია ბერიძე, ოთარ ბოლქვაძე, ნური, ოთარ (ხალიდ) სურმანიძეები, აკაკი ფუტყარაძე, ათწლეულები უკან მოიტოვეს მარეთის ხეობის პირველმა ექიმმა დიმიტრი ცეცხლაძემ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა, 12 წიგნის ავტორმა შოთა ცეცხლაძემ, განათლების სისტემის ამაღლებამა იოსებ აბაშიძემ, ალექსანდრე ბერიძემ, ცნობილმა ინჟინერმა აკაკი ფუტყარაძემ, ექიმებმა ბეჟან ბერიძემ, ოთარ სურმანიძემ.

თანამედროვე ცხოვრების რიტმს ფეხს უწყ-

ობენ სოფელზე, ქვეყანაზე მოდარდენ ადამიანები: დავით ცეცხლაძე, დავით, სოკრატ (რამაზ) ფუტყარაძეები, ედიშერ, ფრიდონ ჯაფარიძეები, დავით, ირაკლი სურმანიძეები, გოჩა ბერიძე, ირაკლი, ვახტანგ ბოლქვაძეები, კახა ცეცხლაძე.

საქველმოქმედო ფონდი «შუბანი» რომ ჩამოყალიბდა, მისი ლიდერობა შუბნელ ალიოშა ბაკურიძესთან ერთად, დარჩიქეობელმა დავით ცეცხლაძემ, ავთო აბაშიძემ, დავით ფუტყარაძემ ითავეს. ფონდის მხარდაჭერით და დარჩიქეობელი ლიდერების ინიციატივით, სოფელში ქართული ჰიდაობის სექცია გაიხსნა. შედეგად სახეზეა. დარჩიქეობელმა ახალბედა მოჭიდავეებმა უკვე რამდენიმე ასპარეზობაზე ისახელეს თავი. ფონდის ინიციატივით, სოფლის აღმოსავლეთით არსებულ გორზე ჯვარი აღიმართა.

სოფლიდან ბათუმში, თბილისში, ქვეყნის სხვა რეგიონებში (გურია, კახეთი) გადასულები სოფლის ინფრასტრუქტურაზე, მის განვითარებაზე დღენიდავ ზრუნავენ. ჯემალ სურმანიძეც ერთი იმათგანია. მისი თანადგომით უკვე შესყიდულია დარჩიქეობის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი.

- წლებია, ოჯახთან ერთად ბათუმში ვცხოვრობ და ექიმის საპატიო საქმეს ვემსახურები. ხშირად ვხვდებით დარჩიქეობიდან გადასულები ერთმანეთს, მაგრამ სოფელში ამოსვლას, წინაპრების ნაბატონები ადგილების, მათი საქვალეების მონახულებას სულ სხვა ხიბლი აქვს. ბათუმში ერთ შეხვედრაზე დავთქვით, რომ სახალხო დღესასწაული «დარჩიქეობა» წამოგვეწყო. შემოდგომის ერთი დღე გამოვარჩიეთ. გაგვიმართლა, ამინდმაც ხელი შეგვიწყო, - თქვა დიმიტრი ცეცხლაძემ.

ცნობილ ეთნოგრაფებს, საზოგადო მოღვა-

წევებს თედო სახოკიასა და ზაქარია ჭიჭინაძეს თუ ვერწმუნებით, აჭარის გამუსლიმანებას, მრავალთა მსგავსად, დარჩიქეობაში არსებული ეკლესიაც შეეწირა. ახლა აქაურები მარეთის ხეობის შუაგულში - გამონათლევში არსებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ადავლენენ ღვთისა და სხვა რიტუალებსაც ასრულებენ.

«დარჩიქეობა» ღვთისმშობლობას დაამთავრეს. ათეულობით ზეიმის მონაწილემ ტაძარში



მოილოცა, წირვა სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა აღავლინეს. იმ დღეს მართლმადიდებ-

ბლობას დარჩიქეობელი ირაკლი ბოლქვაძე ეწიარა.

შეკრებილებს ზეიმი მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტყარაძემ, დიმიტრი ცეცხლაძემ და სხვებმა.

ადგილობრივმა პოეტმა ვალერიან ცეცხლაძემ ზეიმისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. დარჩიქეობის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფილ-

კლორული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნოდარ ბერიძემ მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

სოფელში არსებული ქართული ჰიდაობის სექციის აღსაზრდელებმა ცალკეულ წონით კატეგორიებში ძალები მოსინჯეს. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალი შუბნელ ლუკა ბაკურიძესა და დარჩიქეობელ ლუკა ფუტყარაძეს შორის შედგა. მსაჯებმა გული არცერთს არ დაწყვიტეს.

სოფლის მოსიყვარულე, მასზე მზრუნველი კაცის სახელით წავიდა წუთისოფლიდან ავთანდილ შარვაშიძე. მისი მეუღლე ეთერ ფუტყარაძე-შარვაშიძე წლების განმავლობაში სოფლის ექთანი და ბებიაქალი იყო. «დარჩიქეობის» ორგანიზატორებმა მის ამაგი დაუფასეს - ომარ ტაკიძემ და როსტომ ლორთქიფანიძემ საპატიო დიპლომი გადასცეს.

სოფლისთვის საინო ადგილზე აღმართული ჯვარი უკვე თითოეული დარჩიქეობელისთვის წმინდა ადგილად იქცა. ზეიმის მონაწილეებმა ეროვნული დროშა თითქმის ერთ კილომეტრზე ატარეს და იმ ადგილზე აღმართეს, საიდანაც მარეთის ხეობის სოფლებში დარჩიქეობის ყველა ადგილი ხელისგულივით მოიხანს.

- აქ წინაპრების საქვალეებია. მიხარია, რომ სოფელი ცოცხლობს, ახალ წამოწყებებს უმკლავდება. მრავალსაუკუნოვანი დარჩიქეობის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა, - გვითხრა აკადემიურმა დოქტორმა გოჩა ბერიძემ.



უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიდის იმისკენ, რომ მასთან მოლაპარაკების მაგიდასთან არავინ დაჯდეს. პუტინთან მოლაპარაკებების გამართვის შესაძლებლობის შესახებ კითხვაზე საპასუხოდ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ეს შესაძლებლობები სულ უფრო და უფრო მცირდება. მისივე თქმით, პუტინთან მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსი ოკუპანტები უკრაინის ტერიტორიას დატოვებენ. «როდესაც ისინი დატოვებენ ჩვენს ტერიტორიებს და ჩვენ ვიქნებით საზღვრებთან, ტერიტორიულად ისინი ჩვენს მეზობლად დარჩებიან და ამ მომენტში ჩვენ შეგვიძლია დავსხდეთ მაგიდასთან და ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ», - აღნიშნა ზელენსკიმ. ამასთან, იგი რუსეთში ვლადიმერ პუტინის რეჟიმის დასასრულს უკრაინაში ომის დასრულებას არ უკავშირებს. კითხვაზე, დასრულდება თუ არა ომი მხოლოდ მაშინ, როცა პუტინის რეჟიმი დაემხობა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ უპასუხა: «პუტინის რეჟიმი აუცილებლად დასრულდება როცა ამას, ალბათ, რუსი ხალხი გადაწყვეტს, ჩვენ არანაირი გავლენა არ გვაქვს ამაზე. მაგრამ ვინ მოვა მის ნაცვლად? საქმე ხალხში არ არის, საქმე რეჟიმის ფილოსოფიაშია, ძალაუფლების შენარჩუნების ფილოსოფიაშია. თუ ისინი არ შეცვლიან თავიანთ დოქტრინას, სულერთია, ვინ იქნება იქ მის ნაცვლად, ახალგაზრ-

და, ხანდაზმული და ასე შემდეგ», - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი უკრაინელი სამხედროებისთვის საბრძოლო მასალის მორიგ პარტიას ამზადებს, - ინფორმაციას პენტაგონის პრესსამსახური ავრცელებს. უწყების ცნობით, დელავერის დოვერის საჰაერო ძალების ბაზაზე ჩასული სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედროები საბრძოლო მასალის პაკეტებს უკრაინაში გასაგზავნად ტვირთავენ. პენტაგონში აცხადებენ, რომ სამხედრო დამხმარება უკრაინაში C-17 Globemaster III-ით გაიგზავნება.

ოკუპირებულ დონეცკისა და ლუგანსკის, ასევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში რუსეთთან შეერთების შესახებ ე.წ. «რეფერენდუმები» დაიწყო - ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, ე.წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში მოსახლეობას «რეფერენდუმის» მხოლოდ ერთ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა: «მხარს უჭერთ თუ არა რესპუბლიკის შესვლას რუსეთში ფედერაციის სუბიექტის სახით?» ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში კი სამი კითხვა იქნება დასმული: «გსურთ თუ არა უკრაინისგან გამოყოფა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა და რუსეთთან შეერთება?» ე.წ. «რეფერენდუმები» 27 სექტემბრამდე გაგრძელდება. რუსული მედიის

ცნობით, ე.წ. საარჩევნო უბნები რუსეთშიც გაიხსნება, ვინაიდან დონბასის, ზაპოროჟიესა და ხერსონის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, საკუთარი სახლები დაეტოვებინა და რუსეთში გადასულიყო. ლუგანსკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერჟი გაიდაის ინფორმაციით, რუსული ძალები მოქალაქეებს ე.წ. რეფერენდუმში ხმის მიცემას აიძულებენ. «გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპანტები ქმნიან შეიარაღებულ ჯგუფებს იმისთვის, რომ სახლებში იარაღი და მოსახლეობა აიძულონ, მონაწილეობა მიიღონ ე.წ. რეფერენდუმში». აღნიშნა გაიდაიმ. მისივე თქმით, ზოგიერთი კომპანია თანამშრომლებს ემუქრება, რომ «კენჭისყრაში» მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახურიდან დაითხოვონ. ე.წ. ხელისუფლებამ აუკრძალა ადგილობრივ მოსახლეობას ქალაქის დატოვება 23-დან 27 სექტემბრამდე პერიოდში», - განაცხადა გაიდაიმ. ამასთან, ზაპოროჟიეს საკრებულოს მდივნის ანატოლი კურტევის განცხადებით, ადგილობრივ მოსახლეობას პასპორტის მონაცემების მიწოდებისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ ფული დაქვალდება და საყოფაცხოვრებო ტექნიკას ჰპირდებიან.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრო კულება აცხადებს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომიდან ისევ სწრაფად გაიქცა, როგორც რუსი ჯარისკაცები გაზიარებულ ბრძოლის ველიდან. «შევაჩინე, რომ რუსი დიპლომატები ისევე ოსტატურად გაზიარებულ, როგორც რუსი ჯარისკაცები», - აღნიშნა კულებამ. ცნობისათვის, მედიის ინფორმაციით, სერგეი ლავროვი გაეროს უშიშროების საბჭოზე დაგვიანებით მივიდა, სხდომათა დარბაზი კი სიტყვით გამოსვლისთანავე დატოვა.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებული ძალები დონეცკის ოლქის ქალაქ ლიმიანში წინსვლას ცდილობენ, რომელიც რუსეთის ჯარებმა მისიში დაიკავეს. ლიმიანი მდინარე სევერსკი დონეცის აღმოსავლეთში მდებარეობს. ანგარიშის მიხედვით, ბოლო სამი დღის განმავლობაში, უკრაინის სამხედრო ძალებმა ხარკოვის ოლქში მდინარე ოსკოლის აღმოსავლეთ სანაპიროზე პლაცდარბები დაიკავეს, სადაც რუსეთი სექტემბრის დასაწყისში თავდაცვის ხაზის შექმნას ცდილობდა ხარკოვის ოლქიდან უკან დახევის შემდეგ. დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის შეფასებით, ბრძოლის ველზე სიტუაცია ისევ რთულია, თუმცა, უკრაინა ზეწოლას ახდენს იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთს საკუთარი სამხედრო მიზნების მისაღწევად სჭირდება.

მომზადდა ნაირა ვუტაბარამძე.



პირველობა - კომბინირებულ პირამიდულში

მანანა კიბიჭვიანი 598 24 94 97

დასრულდა საქართველოს მეშვიდე დია პირველობა კომბინირებულ პირამიდულში, რომელიც საბილიარდო კლუბ „პირამიდაში“ ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, თელავის, რუსთავის, ზუგდიდის, ახალციხის, ბათუმის წარმომადგენლები, ასევე, ოთხი უცხოელი მობილიარდო, რომელთაგან სამი აქამდე ბათუმში მცხოვრები უკრაინელია. როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტი თემურ კახიძე გვითხრა, ტურნირი საინტერესოდ ჩატარდა, რადგან საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები შეიკრიბნენ. ბატონმა თემურმა ნახევარფინალი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მობილიარდო გიორგი ჭეხაშვილთან (თბი-

ლისი) 3:2 წააგო და მესამე ადგილს



დასჯერდა. სწორედ გიორგი ჭეხაშვილმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. მეორეზე გავიდა ემზარ ხელაძე (რუსთავი), მესამეზე - თემურ კახიძესთან (ბათუმი) ერთად, როსტომ მაჩაიძე (თბილისი).

სპარტაკ ვანაძის ხსოვნის ტურნირი

მანანა კიბიჭვიანი 598 24 94 97

ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტურნირი ქართულ (მოკლე) ნარდში სასტუმრო „მაილოში“ აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის (პრეზიდენტი ჭეივან-გიორგი ფალავანდიშვილი) ორგანიზებით გაიმართა. მასში აჭარის რეგიონებიდან და ბათუმიდან სხვადასხვა ასაკის 70 მამაკაცი და 20 ქალბატონი მონაწილეობდნენ. ტურნირი მეორედ ჩატარდა, თუმცა ასეთი მრავალრიცხოვანი წელს პირველად იყო.



ცა, გურამ აზმაიფარაშვილს - ვერცხლის.

სულს მუნიციპალიტეტიდან ტურნირზე ჩამოვიდნენ სპარტაკ ვანაძის ახლობლები, მეგობრები.

- ვეტერანთა კლუბის წევრი ვარ. ძალიან კარგია ასეთი ტურნირები. ჩვენ, პენსიონერები, ზღვაზე ერთად დავდივართ და ვეჯობებით კიდევ ერთმანეთს. ასეთი დღეები რომ არ გვექონდეს, სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინ ჭადრაკსა და შაშში გავიმარჯვე, იმ დღეს ნარდში წავაგე, დღეს კი გამიმართლა და ჩემპიონი გახდი. მაღლობა ორგანიზატორ ჭეივან-გიორგი ფალავანდიშვილს, ასევე შალვა ტაბაღუას, რომ ასეთი კარგი ღონისძიება გვარუქებს, - გვითხრა აბსოლუტურმა ჩემპიონმა მედეა ბიბილიაშვილმა.

- ასეთ ტურნირებში ხშირად ვმონაწილეობ, თანაც სიამოვნებით, დასვენების, გართობის მიზნით. ბათუმელები ვხვდებით ერთმანეთს და „ძაღვებს ვსინჯავთ“. ხან მოვივებთ, ხან წავაგებთ, ეს არაა მთავარი. გულთბილი ურთიერთობა, ერთმანეთთან შეხვედრაა მთავარი. მაღლობა ორგანიზატორებს და სასტუმრო „მაილოს“ დირექტორ მაი-

ლო ჯაშ მხარდაჭერისთვის, - გვითხრა პოეტმა ცისანა ანთაძემ.

- სპარტაკი დიდი პიროვნება იყო, რასაც თავისი საქმით, მეგობრობით ამტკიცებდა. გასაკუთრებით დამამახსოვრდა ეროვნული მოძრაობიდან, ჩვენ ვიყავით „ზვიადისტები“ - ქვეყნის პატრიოტები. არასოდეს მასთან თავი დაუცველად არ მიგრძენია. ის იმ მთიელი გოგონების თანამდგომი იყო, რომლებიც სასწავლებლად ჩამოდიოდნენ ბათუმში. ამიტომ ვეუბნები მის უკვდავებაში გადასულ სულს მაღლობას, - აღნიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა გულთაბაძემ.

ორგანიზატორებმა რამდენიმე ადამიანს პატივების სიგელიც გადასცეს, მათ შორის, ტურნირის მთავარ მსაჯე შალვა ტაბაღუას, ხულოს მერ ვახტანგ ბერიძეს, კომპანია „ჰეკატეს“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორ ვლადიმერ მახარაძეს, სწორედ მან დააარსა და დაამზადებინა ოქროსა და ვერცხლის კამათლები აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულთათვის.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ბათუმის ვეტერანთა კლუბი გავიდა.

საქართველოში სასოფროკომპლექსების რუსების მოთხოვნა... 8-ჯერ (!) გაიზარდა

რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანას სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს, ამასთან, იზრდება მოთხოვნა ავიაბილიეტებსა და უცხოეთში უძრავ ქონებაზე. როგორც Forbes.ru წერს, მაგალითად, ბოლო 2 დღეში საქართველოში საცხოვრებელზე მოთხოვნა, 19 სექტემბერთან შედარებით, 8-ჯერ გაიზარდა. გამოცემა რუსეთის საბაზო სამსახურზე დაყრდნობით გუშინ წერდა, რომ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, 22 სექტემბრის დილის 06:00 საათის მდგომარეობით, რუსეთიდან საქართველოში 1 511 მსუბუქი ავტომობილი შევიდა მასში, როცა ერთი დღით ადრე, ანუ პუტინის მიერ მობილიზაციის გამოცხადებამდე 1 261 ავტომობილი დაფიქსირდა. იმავე პერიოდში მომლოდინე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ღამით 50-დან 300 მანქანამდე გაიზარდა. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, ასევე გაიზარდა მოთხოვნა ავიაბილიეტებსა და სასტუმროების დაჯავშნაზე. ბილეთებისა და სასტუმროების დაჯავშნის ერთ-ერთი სამსახურის წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა, Forbes-ს განუცხადა, რომ საზღვარგარეთ ავიაბილიეტების საშუალო ღირებულება დღეში 77%-ით გაიზარდა. მისი ცნობით, რუსეთიდან საზღვარგარეთ საძიებო მოთხოვნების რაოდენობა, 19 სექტემბრის, ანუ მობილიზაციამდე „ნეიტრალურ დღის“ შედარებით, 3,2-ჯერ გაიზარდა.


ყველაზე ხშირად მომხმარებლები უვიზო ქვეყნებში საფრენ ბილეთებს ეძებენ, როგორცაა საქართველო, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ტაილანდი და ტაიკეთი. უფრო მეტიც, 21 სექტემბრის, მობილიზაციის დღეს, უცხოური მიმართულების ბილეთების მყიდველთა 90%-მა ცალმხრივი ბილეთი დაჯავშნა, რაც წინა დღესთან შედარებით 18%-ით მეტია. ავიაბილიეტების გარდა, მოთხოვნა საზღვარგარეთის სასტუმროებზეც გაიზარდა. ონლაინდაჯავშნის სერვისი Ostrovok.ru-ს მონაცემებით, მობილიზაციის დღეს დღის ქვეყნებში სასტუმროების ძიების რაოდენობა, 19 სექტემბერთან შედარებით, ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო ჯავშნების რაოდენობა გაორმაგდა. საქართველოში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში რუსები საცხოვრებელს, 19 სექტემბერთან შედარებით, 8-ჯერ, სომხეთში კი 14-ჯერ უფრო ხშირად ეძებდნენ. სასტუმროებზე მოთხოვნა სერბეთში 6-ჯერ, თურქეთში კი 3-ჯერ გაიზარდა. მობილიზაციის დღიდან გაიზარდა ისეთი ტურისტების შესყიდვების რაოდენობა, რომელიც ცხადყოფს, რომ პაკეტი იაფი ბილეთის (მათ შორის ჩარტერული) მიზნით არის შესყიდული და ტურისტებისთვის სრულიად უმნიშვნელოა, როგორი სასტუმრო შედის მომსახურებაში. მობილიზაციის თავიდან აცილების კიდევ ერთი ვარიანტი დასახვეწებულ ქვეყანაში დარჩენაა. პლუსის სერვისზე დამსვენებელი რუსი ტურისტები ვადას აგრძელებენ. 22 სექტემბერს ერთი კვირიდან ერთ თვემდე დასვენების განხორციელების შესახებ ტურისტების რამდენიმე მოთხოვნა დაფიქსირდა თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და მალდივის კუნძულებზე.

ამირან ბურილიძე

გაზეთი «აჭარა» ბთავაჯობთ ნებისმიერი სახის ღიზინერულ მომსახურებას, ღიზინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, უარიკვას. ღიზინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

გახსენება

მიხეილ კეჟერაძე



ერთეულთა ხვედრია, იყო მოსიყვარულე მეუღლე, ღირსეული მამა, კარგი ბაბუა, საუკეთესო მეგობარი, წუთისოფელში მოიხვეჭო ერსა და ქვეყნაზე მოდარდე კაცის სახელი. სწორედ ასეთი პიროვნება იყო მიხეილ (სულიკო) ოსმანის ძე კეჟერაძე, რომელიც ერთი წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა. დატოვა შესანიშნავი მეუღლე ეთერ აბაშიძე, შვილები ემზარი, ცეზარი, ლია, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებსთვისაც უდიდესი დანაკლისია მისი ტრაგიკული გარდაცვალება.



იდან დემობილიზების შემდეგ მუშაობდა ცინარეთის კოლმეურნეობის აგრონომად. საქმის მცოდნე, ენერგიული კადრი მალევე დააწინაურეს ქედა-შუახევი-ხულოს რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოში ავტოტრანსპორტის მთავარ ინსპექტორ-ზედამხედველად.

1979 წლიდან საცხოვრებლად დაიღუპა. დატოვა შესანიშნავი მეუღლე ეთერ აბაშიძე, შვილები ემზარი, ცეზარი, ლია, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებსთვისაც უდიდესი დანაკლისია მისი ტრაგიკული გარდაცვალება.

ბატონი მიხეილი დაიბადა 1944 წლის 25 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ცინარეთში. აქ გაატარა ბავშვობისა და ყრბობის წლები, რამდენიმე წელი საკუთარი მარჯვენით მოწვეული კერაზე იცხოვრა. საინტერესო და შინაარსიანი ბიოგრაფია ჰქონდა. უჩამბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აგრონომის პროფესიას დაეუფლა, რაც იმ დროს პრესტიჟულ სპეციალობად ითვლებოდა.

სამი წლის განმავლობაში არმიის რიგებში მსახურობდა. არმიის

შპს «გაზეთ აჭარისა და ადუარისა» კოლექტივი ღრმა მწუხარებით იწყებს, რომ გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ბერდია ინწკირველი
და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ კილაძის ოჯახი

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«გაზეთი აჭარა და ადუარია»</p> <p>კოლმეურნეული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაღდაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ინფო და აკაბადონდა</p> <p>გაზეთ აჭარის კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავსებელი ხელმოწერა 23/09/22, 21 10 სთ.</p>	<p>ღირაებრივი</p> <p>გაფორმებული</p>
------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------



არაფერს ბებავს, უბრალოდ, ბედნიერია პროფესიასი და ოჯახსი

მარიამ ხოთაბაძე 27 48 93

ლელა გობიშვილი ბათუმში იცნობენ როგორც კარგ მოცეკვავს და ამავ დროს ტანმოვარჯიშებს. ის შემდეგ აბაშიძის პრემიის ლაურეატია და მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტულ სასახლეში მხატვრულ ტანვარჯიშს ასწავლის, ამავ დროს ხუთ შვილს უზრდის ქვეყანას. ლელა ბათუმში დაიბადა, დამთავრა ვაჟა-ფშაველას სახელობის №21 საშუალო სკოლა. გავიკვირდებოდა და, უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი ინგლისური ენის მასწავლებლისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის კვალიფიკაციით აქვს დამთავრებული. ნიჭიერი სპორტსმენი ხუთი შვილის დედაა. იგი დღეს თავის კარიერულ წინსვლასა და პროფესიაზე გვესაუბრება.



მომესწორებინა ყველა დაშვებული შეცდომა. შემდეგ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა - მივიღე ხერხემლის ტრავმა და სამუშაოდ, სპორტულ ცხოვრებას დავემშვიდობე... მაგრამ დაიწყო ცხოვრების ახალი ეტაპი. მოგეხსენებათ, ბათუმში არსებობდა ოპერისა და ბალეტის თეატრი ბექარ მონავარდისაშვილის ხელმძღვანელობით. ამ საოცარ დასში ბატონ მანუჩარ შერვაშიძის რეჟიმენდაციით მოხვდი. იქ დაიწყო ჩემი, როგორც ხელოვანის, ჩამოყალიბება. ვმონაწილეობდი ოპერებში „აიდა“, „ლელა“, „აბესალომ და ეთერი“, „დონ კიხოტი“, „ბაიადერა“, ასევე, სხვა საბალეტო სცენებში.

- რა პროფესიაზე ოცნებობდით, რომელი აირჩიეთ და რატომ?
- მაღლობა, რომ დაინტერესდით ჩემი ცხოვრებით. რაც შეეხება ჩემს პროფესიას, მართალი ვიფიქრობ, ალბათ, ახალი და საინტერესო იყო ჩემთვის კომპიუტერი და უცხო ენის შესწავლა, მაგრამ ახლანდელი გადმოსახედიდან, ნამდვილად ბავშვთა ფსიქოლოგიის შევისწავლიდი და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ სფეროში.
- თქვენს კარიერულ გზაზე გვიამბეთ...
- ჩემი ბავშვობა სპორტით დაიწყო, ძალიან აქტიური და მოქნილი ბავშვი ვიყავი, ამიტომ მამის გადაწყვეტილებით, 4 წლის ასაკში მხატვრულ ტანვარჯიშზე შემიყვანეს. ძალიან შრომისმოყვარე და გაბედული ბავშვი გახლდით, თორემ წლის ასაკში უკვე საქართველოს ნაკრების წევრი გახვდით. ჩემი საუკეთესო მწვრთნელი ნაირა დიასამიძე იყო. მასსოვს, ყოველი შეჯიბრების შემდეგ ჩუმად და აუღელვებლად მეტყობდა: ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ, მაგრამ აქ ეს შეგეშალა, იქ - ეს... ამას ისე თბილად მეტყობდა, რომ უფრო და უფრო მიყვარდებოდა ჩემი მწვრთნელიც და საქმიანობაც, უფრო მეტად ვცდილობდი, გა-

ჩვენთან ბავშვების მიღება ოთხი-ხუთი წლის ასაკიდან იწყება, მაგრამ მოზარდებიც გვყავს, რომლებსაც სხეულის გაჯანსაღება სჭირდებათ. მოგეხსენებათ, სპორტის ეს სახეობა ყველაზე მეტად აჯანსაღებს და ალამაზებს სხეულს.
- ბავშვებს ჯგუფურად ამეცადინებთ თუ ინდივიდუალური გაკვეთილებით გაქვთ?
- მხოლოდ ჯგუფურად.
- რამდენად რთულია ბავშვებთან მუშაობა, მათთან მიდგომა?
- ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და თითოეულს თავისებური მიდგომა სჭირდება. ეს, სხვათა შორის, ჩემი შვილებისგან ვისწავლე. ხუთივე განსხვავებული ხასიათისაა. ძალიან მიყვარს ბავშვები და ვცდილობ, შევავარო სპორტი, მაგრამ იმაზეც ვესაუბრები, თუ რამდენად რთულია ამა თუ იმ მოძრაობის გაკეთება. ისინი უნდა იყვნენ მოწესრიგებული, მონდომებული და ყოველთვის გაიმარჯვებენ!
- სხვა სფეროში თუ წარმოგიდგენიათ თავი, რომელ პროფესიას აირჩევდით სიამოვნებით?
- ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს. მიყვარს, როცა შეგიბრძნავ ჩემი შრომის შედეგს ვხედავ - ეს საამაყოა, მაგრამ რომ არა ეს პროფესია, ზემოთ ვახსენე, ბავშვთა ფსიქოლოგი ვიქნებოდი დიდი სიამოვნებით.
- რა არის თქვენს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი?
- თავიდანვე გავერკვე, ბავშვს უნდა თუ არა სპორტი. ზოგჯერ ეს მხოლოდ მშობელს უნდა, ბავშვს - არა, მაგრამ თუ ვხედავ, რომ მას აქვს ყველანაირი მონაცემი წარმატებისთვის სპორტის ამ სახეობაში, ვცდილობ, ეს სფერო შევავარო და მოვანდომო. ჩემთვის მთავარია, ბავშვს უყვარდეს, რასაც აკეთებს, ეს მისი სურვილი იყოს და არა - მშობლის!
- კონკურსებში თუ მონაწილეობენ თქვენი აღზრდილები?
- ჯერჯერობით პატარა ასაკობრივი ჯგუ-

ფი მყავს და მხოლოდ ქუთაისისა და ბათუმის პირველობაზე იყვნენ შეჯიბრებაზე, რა თქმა უნდა, კარგი შედეგებით.
- რა არის წარმატების ფორმულა?
- ჩემთვის - შრომა და მიზანი! ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ყველაფერს შეძლებ და გადალახავ, რაც უნდა პრობლემის წინაშე დადგეს. იყავი ბედნიერი შენი ოჯახით, შვილებით, სამსახურით და ყველაფერი კარგად იქნება!
- რა გეგმები გაქვთ?
- არაფერს ვგეგმავ. ისევ ვრჩები ჩემს ტანმოვარჯიშებთან ერთად და ვაგრძელებ მათთან მუშაობას.



კაკრეხუხუმი ქვევრები აღმოაჩინეს

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეხუხუმში მიწის ნაკვეთის დამუშავებისას ქვევრები აღმოაჩინეს. ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონაციის სამსახურის უფროსს, არქეოლოგიის აკადემიურ დოქტორ იზორელა ღვინაძეს.



- რამდენიმე დღის წინ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმში გვესტუმრა სოფელ კაპრეხუხუმის მკვიდრი ალექსანდრე დიასამიძე - გეოგრაფი, აკადემიური დოქტორი. იგი დაინტერესებულია სოფელ კაპრეხუხუმის ისტორიით და გვთხოვა, მიგვეწოდებინა ინფორმაცია კაპრეხუხუმში მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტების შესახებ. დაიგეგმა ინფორმაციის შეგროვება. არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფი ჩემი და მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორ თამარ შალიკაძის შემადგენლობით, კაპრეხუხუმში ავედით. მეგზურობას ბატონი ალექსანდრე დიასამიძე და სოფელ კაპრეხუხუმში მერის წარმომადგენელი ავთანდილ ტარიელაძე გვიწვედნენ. მათთან ერთად მოვინახულეთ სოფლის რამდენიმე უბანზე შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრები.

აქაური თემურ გობაძის საკარმიდამო ნაკვეთში, სამშენებლო სამუშაოების დროს, შემთხვევით წააწყდნენ მთლიანად დაცულ პატარა ზომის ქვევრს და სხვადასხვა ქურჭლის ფრაგმენტებს. განსაკუთრებით საინტერესო იყო სოფელ კაპრეხუხუმში რუს ბიზნესმენ კონსტანტინე პოპოვის დასახლება, სადაც დღემდე შემორჩენილია ორი სახლი. ცნობილია, რომ საქართველოში ჩაის კულტურის განაშენიანება მის სახელთან არის დაკავშირებული - მან საქმის ასაღორძინებლად 1893 წელს ჩინეთიდან აჭარის ზღვისპირეთში ლაო ჯინჯაო ჩამოიყვანა. მეორე სახლიდან 50 მეტრში კარგად ჩანს მკვრივ გრუნტში ჩადგმული რელიეფურ-ორნამენტული ქვევრების ტანისა და ძირის ფრაგმენტები. იქვე შევადგინეთ რეზო და დავით თურმანიძეების საკარმიდამო ნაკვეთში. როგორც მასპინძლები გვიყვებოდნენ, აქ, მიწის სამუშაოების დროს ბევრჯერ უნახავთ სხვადასხვა ზომის ქვევრები. მათგან მხოლოდ ორია გადარჩენილი. არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების კაპრეხუხუმის მევენახეობა-მეღვინეობის დარგის შესწავლისთვის.

სპორტი შეხვედრა - მსოფლიო პრიზიორებათს

მანანა პიბიშვილი 598 24 94 97

აჭარის წარგზავნილები სპორტის არაერთ სახეობაში ასახელებენ არა მხოლოდ ჩვენს კუთხეს, არამედ საქართველოს. სექტემბერშიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა სპორტსმენებმა. სწორედ მათ შეხვდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ჩენეთის ქალაქ პარდუბიციში გამართულ რიგით მე-12 მსოფლიო ჩემპიონატზე შოტლანდიის კარატე დოში, სადაც 31 ქვეყნის 1750 კარატისტი მონაწილეობდა, უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის საქართველოს სახელით მოასპარეზე აჭარის კარატეს ფედერაციის 12-მა წარმომადგენელმა ხუთი ოქროს, სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გი მიქაძემ, ტანია ქოროლიშვილმა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლაშა ჩავლეშვილმა, მისმა მოადგილე მინდია ქათამაძემ გამარჯვება მიულოცეს სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს და წარმატებები უსურვეს.
- ჩემთვის ეს პირველი მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო და მიხარია, რომ მოვიგე, რადგან სულ ერთი წელია რაც ვვარჯიშობ სპორტის ამ სახეობაში, - გვითხრა თამარ ცინცაძემ.
თამარისგან განსხვავებით, ჯაბა სურმანიძისთვის ეს მეორე მსოფლიო ჩემპიონატი იყო - წინაზე ვერცხლი მოიპოვა, რომელიც ახლა ოქროზე გადაცვალა.
- ბევრი ვივარჯიშე და ოქრო დავისაკუთრე. ყველაზე რთული ფინალი იყო, სადაც მოლდოვის წარმომადგენელს ვძლიე, - გვითხრა ჯაბამ.
- მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში კი შევდივარ, მაგრამ ყოველი წარმატების შემდეგ ახალი ენერჯით ვიწყებ მზადებას. როცა ვიმარჯვებ, ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი შრომის შედეგია, ისე ადამიანი ვერაფერს მიაღწევს. მომავალ წელს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ახლავ დავიწყებ მზადებას, - გვითხრა ევროპის ოთხჯისა და მსოფლიოს ორჯის ჩემპიონმა ჯონი თოფურია.

